საინფორმაციო ბიულეტენი | ივლისი

ივლისში საბჭომ 3 ოფიციალური განცხადება გაავრცელა

5 ივლისს, საბჭომ 5 ივლისის მოვლენებთან მიმართებით ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომლითაც ჰომოფობიური აგრესია და ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტები დაგმო.
12 ივლისს, საბჭომ ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გაავრცელა.
21 ივლისს, საბჭო გამოეხმაურა ჩოგბურთელი ოქსანა კალაშნიკოვას საქმეს.

ცნობიერების ამაღლების კამპანია ახალი სახელმწიფო ვალდებულებების შესახებ

"თანასწორობის თაობის ფორუმზე" საქართველო და მათ შორის გენდერული თანასწორობის საბჭო შეუერთდა კოალიციას 2 მიმართულებით: 1. გენდერული ნიშნით ძალადობა; 2. ტექნოლოგიები და ინოვაციები გენდერული თანასწორობისთვის.
ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით საბჭომ სოციალურ მედიაში ახალი კამპანია წამოიწყო.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის სამუშაო შეხვედრა

20 ივლისს, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა კონცეფციის დოკუმენტის პირველი ვერსია. სამუშაო ჯგუფის წევრება კონცეფციის ძირითადი მიმართულებებზე იმსჯელეს.
ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფია გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2021 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ერთ-ერთი საკვანძო აქტივობაა, რომელიც მხარდაჭერილია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ.

შეხვედრა თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში ქალთა ჩართულობაზე

30 ივლისს, შეხვედრა თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში ქალთა ჩართულობაზე გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ NATO-ს ოფისის წარმომადგენლობა, თავდაცვის სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტისწარმომადგენლები.

საზოგადოებრივი მაუწყებლის წლიური ანგარიშის მოსმენა

16 ივლისს, საბჭომ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან ერთად მოისმინა "საზმაუწყებლის 2020 წლის ანგარიშის" განხილვა.
შეხვედრის დასრულების შემდგომ, საბჭომ საზოგადოებრივი მაუწყებლისგან გამოითხოვა დეტალური ინფორმაცია ანგარიშით გათვალისწინებული იმ აქტივობების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს მაუწყებელში გენდერული თანასწორობის მიღწევას.

გენდერული ბიუჯეტირება

19 ივლისს, საბჭომ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან ერთად გენდერული ბიუჯეტის სამუშაო ჯგუფის მეორე სამუშაო შეხვედრა გამართა, რომლის ფარგლებშიც ექსპერტებმა კითხვარის პირველადი სამუშაო ვერსია წარადგინეს.

საინფორმაციო ბიულეტენი | ივლისი

შეხვედრები

22 ივლისს, საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი წყალტუბოს გენდერული თანასწორობის წარმომადგენლებს შეხვდა.

23 ივლისს, პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტთან ერთად, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) უშუალო ჩართულობით შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც მხარეებმა სასკოლო სასწავლო პროგრამების გაუმჯობესების პერსპექტივები განიხილეს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებში ინფორმირებულობის გაზრდას ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ.

26 ივლისს, საბჭოს ინიციირებით გაეროს ქალთა ორგანიზაციის ქართველო წარმომადგენლებთან (UN Women) მარტოხელა მშობლის სტატუსის ცვლილების საკითხზე შეხვედრა გაიმართა.

28 ივლისს, ნინო წილოსანმა მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს მიერ ინიციირებულ ვოქრშოფში "მეტი ქალი ადგილობრივ თვითმმართველობაში და ბარიერები, რომელსაც ქალი კანდიდატები აწყდებიან".